157
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 245
ნოემბრის 15, პარასკევი 1902 წ.
1877

ივერია

№ 245
ნოემბრის 15, პარასკევი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ამ ნომერში 14 გვერდია.

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საავენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
ღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საავენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა სიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მესახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საცლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საავენტონი ყველგან. სატრანსპორტო საავენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საავენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საავენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—53)

საჭიროა

პასუხის-მგებელი **პრიკაშჩიკები** თავიანთ მოსამსახურე ხელ-ქვეითებით ამიერ-კავკასიის რკინისგზის მოხელეთა მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიასა და მატარებლების დუქნებში. გირაოდ უნდა იქმნას შემოტანილი 400-დან 600 მანეთამდე, ჯამაგირებია გადაწყვეტილი 960 მანეთიდან 1320 მანეთამდე წელიწადში.

საზოგადოების გამგეობა იმყოფება ტფილისში, მიხეილის პროსპექტი, სახლი ალელოვისა, № 162.

(4—2).

გადაღებულია ნოტებზედ 30 ქართლ-კახურ-იმერული საერო კილოები; კილოები დაწერილია ორწყებიან ხაზის სისტემაზედ; ამ კილოებსვე დართული აქვს 70 ხალხური ლექსი; ყველა ამ ნამუშავარს დასტამბა სჭირია; ვინც ამ სიმღერების დასტამბვას იკისრებს, მას უფასოდ დაეთმობა პირველი გამოცემა და ამ სიმღერების დამწერივე იკისრებს უსასყიდლოთ კორექტურის გასწორებას. მსურველს შეუძლიან მიჰმართოს პირობათა შესატყობად „ივერიის“ რედაქციას.

5—5

თავად-აზნაურობის თეატრი.

ტელეფონი № 617.

დღეს, პარასკევს 15-ს ნოემბერს,

უკანასკნელი და გამოსათხოვარი წარმოდგენა.

ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ, **ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით

ხორისა და ორკესტრის
საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქნება

ტრავიატა

ოპარა 4 მოქ. მუს. ვერდისა.

„ალფრედ“-ის როლს შეასრულებს **ა. პ. ბონაჩიჩი.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: **ვან-დერ-ბრანდტი,** ბაუერი, სკორუპსკისა; ბ-ნნი: ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, პეტროვი, კაზიმირო, პევცოვი, სვობოდინი და სხ.

კაპელმეისტერები { **ლ. პ. შტეინბერგი.** / **მ. მ. ბუკშა.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ი. ფითოევი.**

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანის, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვების და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 15 ნოემბერი.

გუშინ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო განცხადება, რომლითაც ამიერ კავკასიის რკინის გზების მოხელეთა მომხმარებელ საზოგადოების გამგეობა „პრიკაშჩიკებს“ იწვევს თვისის მაღაზიებისათვის.

ჩვენმა ქართველობამ თითქმის არა იცის-რა ამ საზოგადოების მნიშვნელობისა და ამისათვის უადგილო არ იქნება, ჩვენს მკითხველებს ამ საგანზედ ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ.

თორმეტი წელიწადია, რაც ეს საზოგადოება არსებობს; ბევრი ამ გვარი საზოგადოება რუსეთშიაც არის, თითქმის ყველა რკინის გზას თავისი საკუთარი საზოგადოება აქვს დაარსებული. ამ საზოგადოების დანიშნულება ის არის, რომ რკინის გზის ყოველს მოხელეს შეეძლოს ფარსაგი საქონელი იაფფასად შეიძინოს; ამასთან საზოგადოება სცდილობს დაარსოს მაღაზიები არამც თუ მარტო დიდრონს ქალაქებში, არამედ ყველგან, სადაც-კი რკინის გზის მოხელე მუდმივ სცხოვრობს, ანუ დროებით გზად იმყოფება ლიანდაგზე; ამ განზრახვის მისაღწევად ტფილისის საზოგადოებამ გაჰმართა სამი მაღაზია ტფილისში, და თვითო მაღაზია: ბაქოსა, აჯი-ქაბულსა, განჯასა, ხაშურს, შორაპანსა და სამტრედიაში; ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც-კი რკინის გზის მოხელენი ბლომად იმყოფებიან.

გარდა ამისა, საზოგადოებასა აქვს სამი წყვილი მოძრავი დუქანი, რომლებიც მუდამ მიმოსვლაში არიან ტფილისიდამ ბაქომდე, ყარსამდე და სამტრედიამდე; ამ მიმოსვლაში საზოგადოების დუქნები, ცალკე ვაგონში მოწყობილი, ყოველს სადგურზე აღნიშნულს საათს ჩერდება და რკინის გზის მოხელენი იძენენ ყველაფერს, რაც-კი ესაჭიროებათ: პურსა, ხორცსა, ღვინოს, ხილს, ხორაგეულობას, ფეხსაცმელს, ტანთსაცმელს და სხვა-და-სხვა. საზოგადოების წევრს შეუძლიან ნისიათაც აიღოს საქონელი და ვინც წევრად არ ირიცხება, იმან ნაღდი ფულით უნდა ივაჭროს. რაოდენათა ჰშველის ეს მოძრავი დუქანი რკინის გზის მოხელეთ, მკითხველი დარწმუნდება მარტო იმითიც, რომ თვითო გზაზე ყოველი მოძრავი დუქანი ვაჭრობს ორას სამას თუმნამდე. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთ უდაბურს ალაგას და მიყრუებულს სადგურზე, საცა მედუქნეები ყველაფერს მამასისხლადა ჰყიდიან, მოძრავი დუქნები დიდს შეღავათს აძლევენ რკინის გზის ღარიბ მოხელეებს, რადგანაც საქონლის ფასი იგივეა, რაც ტფილისში.

ყველა ამ ტფილისის საზოგადოების მაღაზიებსა და მოძრავ დუქნებში წელიწადში ისყიდება თითქმის ერთის მილიონის მანეთის სავაჭრო.

რა თქმა უნდა, რომ ამისთანა დიდსა და ძნელს საქმეს, ძნელს იმიტომ, რომ დღე და ღამ გზაშიაც-კი უნდა ივაჭრონ, მარდი, ფხიზელი, მცოდნე და პატიოსანი პრიკაშჩიკები და ბიჭები უნდა; უამისოდ ან თვითონ პრიკაშჩიკები დაიღუპებიან, ან საზოგადოებას დაჰღუპავენ.

თორმეტის წლის განმავლობაში საზოგადოების გამგეობა დარწმუნდა, რომ არც ერთი ფარსაგი და სვინდისიანი პრიკაშჩიკი არ დადგება იმ მცირე ფასად, რასაც აქამდის აძლევდნენ; მართალია, საზოგადოებას ბევრი გამოცდილი პრიკაშჩიკი ჰყოლია, მაგრამ რაკი ჯამაგირი ცოტა ეძლეოდათ, ნება-უნებლიედ, რაც არა ჰყოფნიდა, თავის ნებით იმატებდა, ესე იგი იპარავდა; ამ გამუდმებულ პარვით საზოგადოებას ყოველ წელს აკლდებოდა შვიდას-რვაასი თუმანი და ამ ზარალს თავის წმინდა მოგებიდან ჰფარავდა; ასე რომ საზოგადოების წლიური მოგება ისევ პრიკაშჩიკებს უნდებოდა.

თუ რა დიდი წმინდა მოგება შეიძლება ჰქონდეს ყოველ რკინის გზის

მომხმარებელთა საზოგადოებას, ამას ნათლად გვაჩვენებს 1900-ს წლის ანგარიში ციმბირის რკინის გზის საზოგადოებისა; ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ წლიური წმინდა მოგება 100,000 მანეთს აღემატება; ეს მოგება იმაზეა დამყარებული, რომ გამგეობამ კარგი და პატიოსანი პრიკაშჩიკები მოიპოვა და ახალი საქმე თავიდამვე რიგიანად დააყენა.

ტფილისის საზოგადოების გამგეობის გუშინდელს განცხადებას სწორედ ის აზრი აქვს, რომ რიგიანი პრიკაშჩიკები მოიპოვოს.

თუ მართლა ჩვენს, ქართველობას, და მეტადრე იმერლობას, ვაჭრობის შნო აქვს, ეს ბურთი და ეს მოედანი, გამოვიდნენ რკინის გზის საზოგადოების ფართო სავაჭრო ასპარეზზე და დაგვანახვონ, რომ ჩვენს ქართველობას შეუძლიან სხვა ტომის პრიკაშჩიკებს მეტოქეობა გაუწიონ. რაც-კი შეეხება განცხადებაში აღნიშნულს საგირაო ფულს 400—600 მანეთამდე—ჩვენის აზრით ამ ფულის შოვნაც არ გაუჭირდებათ ქართველებს, რადგანაც ას-ას ოც თუმნიან ჯამაგირით ორ-სამს წელიწადს ადვილად მოიშორებს თავიდგან ამ საგირაო ფულს, თუნდ ვალადაც ჰქონდეს აღებული და მერე მრთელის ჯამაგირის პატრონი გახდება.

მაშასადამე ამ საგირაო ფულის შოვნა ადვილია, რადგანაც ორის-სამი წლის ვადით პატიოსანს პრიკაშჩიკს ყველა ფულიანი კაცი ადვილად გაუმართავს ხელს.

ტფილისი

◆ ამ დღეებში გამოვა გასასყიდად საქართველოს კალენდარი ვალ. გუნიასი. კალენდრის დაბეჭდვა იკისრა წერა-კითხვის საზოგადოებამ.

◆ ტფილისის სემენარიის შენობის აგების საქმე ვერაზედ ნელ-ნელა წინ მიდის. საძირკვლის თხრას თითქმის უკვე მორჩნენ. ზოგან ქვითკირის კედლებიც არის ამოყვანილი.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია გუშინ, 14 ნოემბერს გაემგზავრა სიღნაღს სხვა-და-სხვა საქმეთა გასარჩევად. სესიას ორ კვირამდე მოუნდება.

◆ ზუბალაშვილის სახელობაზედ სამადლო სახლის აგებას უკვე შეუდგნენ.

◆ უფროსი ზედამხედველი სავაჭრო-სამეურნეო პოლიციისა ნ. ი. ალიხანოვი დანიშნულ იქმნა ხორცის დუქნების გამგედ, ხოლო დ. ს. ბაბოვი უფროს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტად.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ერთ-ერთს კრებაზედ ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი, რომელიც ამ ზაფხულს იკვლევდა სტატისტიკურად ქართლის ზოგიერთ სოფლის მდგომარეობას, წაიკითხავს თავის მოხსენებას. ამბობენ, რომ ამ მოხსენებაში ქართლის გლეხკაცობის ყოვლად უნუგეშო მდგომარეობა იქნება დასურათებულიო.

◆ ამას იქით მთავარ-მართებლის საბჭოში დაესწრება ხოლმე საერობო ხარჯების განხილვის დროს სასულიერო მთავრობის წარმომადგენელიცა. როგორც ვიცით, ამ საერობო ფულიდან, ნაწილი საეკკლესიო სკოლებსაც ეძლევა და წარმომადგენელი სასულიერო მთავრობისა დაიცავს ამ სკოლების ინტერესებს. წარმომადგენელს დანიშნავს საქართველოს ეგზარხოსი.

◆ სოფ. წყნეთს გადაუწყვეტია სასოფლო სკოლის დაარსება. გაზაჩენით უკისრნია 400 მან. გადახდა მასწავლებლის ჯამაგირად, 100 მანათისა მოსამსახურისათვის და მიტანა სკოლისათვის სამის საჟენის შეშისა ყოველ წლივ.

◆ საეპარქიო სანთლის ქარხანამ ხელმეორედ სთხოვა გამგეობას, რომ მიეცეს ნება ფარდულის დადგმისა ალექსანდრეს ქვემო ბაღის შესავალში წმინდა სანთლის საყიდლად.

◆ კვირას, 17 ნოემბერს დანიშნულია საზოგადო კრება შრომის სახლისათვის მზრუნველ საზოგადოების წევრთა.

◆ ტფილისის კადეტთა კორპუსის დირექტორად დაინიშნა გენერალ-მაიორის კიჩეევის მაგივრად ინსპექტორი დონის კორპუსისა პოლკოვნიკი სოიმონოვი.

◆ ტფილისის ვაჟების პირველს გიმნაზიასა და კადეტთა კორპუსში უკვე დაინიშნენ სამღვთო სჯულის მასწავლებლებლნი, დეკ. მ. გიორგი ხელიძის მაგიერ, რომელმაც სამსახურს თავი დაანება ხანგრძლივის მოღვაწეობის შემდეგ და დეკან. ალ მანსვეტობის მაგიერ, რომელიც ამას წინად გარდაიცვალა.

◆ ამბობენ, რომ პროექტი ელექტრონის რკინის გზისა ტფილისში დამტკიცებულ იქმნება პეტერბურგს ამ ბედნიერ დღეებამდეო. იქნება ღმერთმა ჰქმნას და მალე ვეღირსოთ მაშ ელექტრონის ტრამვაისა.

◆ ტფილისის 1-ლ ვაჟთა გიმნაზიაში განთავისუფლდა ორი ვაკანსია: პუშკინისა და აბესალომოვის სახელობისა. სია ღარიბ შეგირდთა და სტიპენდიის ღირსთა უკვე წარედგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას.

◆ ყარსიდან ჩამოვიდა ფოტოგრაფი, რომელმაც ჩამოიტანა მრავალი სურათი იქ გამართულ დღესასწაულებისა გასასყიდად.

◆ ქუჩაში მაწანწალა ძაღლების დაჭერას ძლივს შეუდგნენ. საჭიროა მხნედ მიეკიდნენ ამ საქმეს. უპატრონოდ მოწანწალე ძაღლები ადვილად ცოფიანდებიან და ჰკბენენ გამვლელ-გამომვლელთ. ამას წინად ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა ვერაზედ ერთი ყმაწვილი ნასწავლი ქალი, რომელიც ამ ჟამად წამლობაშია პასტერისებურის ცოფის ასაცრელ სადგურში. იქვე მიიყვანეს გუშინ ერთი ყმაწვილი, რომელიც ცოფიანს ძაღლს დაეგლიჯა ქართლში.

◆ პეტერბურგიდან სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს, რომ იქაურ სომეხთა ეკკლესიის მზრუნველად აურჩევიათ ქრისტეფორე ვერმიშევი, რომელიც ტფილისის საქალაქო გამგეობის წევრად იყო ამ ორის წლის წინად.

◆ იქიდგანვე სწერენ იმავე გაზეთს, რომ ახალ საპოლიტეხნიკო სასწავლებლის და მუსიკის საქმე გადაეცა საერო განათლების სამინისტროს.

◆ დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად რუსული თარგმანი ქვათა ღაღადისა, თხზ. ილ. ჭავჭავაძისა. წიგნი უთარგმნია ნ. ი. ალექსი-მესხიშვილს.

◆ ბაქოს წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლობს ქალაქ ბაქოს სტიპენდიატად სხვათა შორის ქართველი ქალი თამარ ციციშვილი.

◆ ეს ერთი კვირაა, ტფილისში საგრძნობლად აცივდა. მოვიდა თოვლიცა, რომელიც ისევ მალე გადნა. ახლო-მახლო მთებიც დათოვლილია. ქარი ხშირად ჰქრის და მოაქვს თოვლის სუსხი მთებიდან. ცივი ზამთარი აპირობს გაჩაღებას ჩვენს ქალაქში.

◆ გაზ. „მშაკ“-ი იუწყება, რომ კახეთის რკინის გზის ასაშენებლად ტფილისში ამხანაგობა დგება და საფრანგეთის ფულიან კაცების დახმარებით მუშაობასაც უნდა შეუდგნენ თავ. ნ. ჭავჭავაძისა და ინჟენერ ლიმბერგის მიერ აღებულ კონცესიის მიმართულებითაო. ამ ფულიან კაცების წარმომადგენელს უთავია ამხანაგობის შედგენაცა და ამ საქმის განაღდებაც; ამას გარდა სხვა სავაჭრო-სამრეწველო საქმეების აღებაც ჰსურთ ამ კაცებსაო.

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს შეუტყვია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობისათვის 130 ათასი მანეთი გამოუგზავნიათ ჭიათურის რკინის გზის გასაგრძელებლად სადგურ დარკვეთიდან საჩხერემდე.

—

12 ნოემბრის სამეურნეო კრება.

(გაგრძელება)

ბ-ნ ქუთათელაძემ განაცხადა, რომ, თუმცა მას პირადად ბ-ნ გ. ჟურულის მოხსენება არ მოუსმენია, მაგრამ რამდენადაც ეს ორატორთა ბაასიდან გამოირკვა, ბ-ნ რეფერენტს კავკასიაში არსებულ კოოპერატიულ დაწესებულებათათვის სულ მცირე ყურადღება მიუქცევიაო. ჩვენში არსებული კოოპერაციების ვითარების გამოკვლევა, გათვალისწინება უფრო ნათლად [illegible] ამ დაწესებულებათა შემოღების საქმეს. საზღვარ-გარედ, ასე შორს, რომ მაგალითები არ ვეძიოთ, ამ მხრივ რუსეთის შიდა გუბერნიების კოოპერაციების მოღვაწეობაშიაც ბევრს საგულისხმიეროს ვპოვებთო. რუსეთის შიდა გუბერნიებში ამ ჟამად ორმოცდაათამდე სხვა-და-სხვა კოოპერაცია მოქმედებს, ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში თხუთმეტამდე. პრაქტიკა ამ კოოპერაციებისა ნათლად გვიმტკიცებს ამ დაწესებულებათა საჭიროების საქმეს. ხონის მეაბრეშუმეთა საზოგადოებაში 2,000 წევრი ითვლება, ამ საზოგადოებას 22,000 მან. საწარმოო ფული აქვს და წლიურად ნახევარ მილიონის საქმეს ატრიალებს. ბევრი სხვა-და-სხვა დაბრკოლებანი ედობება წინ ჩვენში არსებულ კოოპერაციების განვითარების საქმეს და განსაკუთრებით ტეხნიკური საქმის მოუწყობლობა. მიუხედავათ ამისა მნიშვნელობა ამ დაწესებულებათა მრავალგვარია. ამიტომ, ბ-ნ ქუთათელაძის აზრით, საჭიროა მთავრობა დავარწმუნოთ, რომ კოოპერატიული დაწესებულებების შემოღება ბევრად ხელს შეუწყობს ჩვენში მეურნეობის წარმატების საქმეს, დავარწმუნოთ მთავრობა, რომ დაწესებულებათა ნაყოფიერად მოქმედებისათვის საჭიროა კრედიტის საქმის უკეთ მოწყობა, და ამ დაწესებულებათათვის იურიდიულ უფლებათა მინიჭება. თავ. ს. ვახვახიშვილმა თავისს ვრცელ სიტყვაში განუმარტა საზოგადოებას, რომ ამ ჟამად კოოპერაციულ დაწესებულებათ სარგებლობა მოაქვს, შესაძლოა, შუათანა და მსხვილ მემამულეებისათვის, წვრილმანი მემამულეები-კი ჯერ-ჯერობით ვერას სარგებლობენო, მაგრამ ეს გარემოება დროებითი და წარმავალია. კოოპერაციებს დიდი მნიშვნელობა აქვსთ მწარმოებელთა და მხარჯველთა შორის შუამავლის მოსპობის საქმეში. შუამავალი მწარმოებელთა ნაწარმოებს აძვირებს და ამით მხარჯველის ჯიბეს მეტად აუტანელ ტვირთად აწვება. მაგალითად, შემჩნეულია, რომ ხორბლის ფასი დღითი-დღე კლებულობს, გამომცხვარი პურისა-კი მატულობს, მატყლის ფასი თან და-თან კლებულობს, მატყლისაგან დამზადებული ნაწარმოების ფასი-კი უფრო და უფრო მატულობს, იგივე მოვლენა შემჩნეულია ნაწარმოების შესახებაც. ეს გარემოება მეტად სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ სიძვირის კამერტონი ხელთ უპყრიათ მთელს რაზმს შუამავლებისას, რომელთა რიცხვი, რაც დრო მიდის უფრო და უფრო მრავლდება. ამ სამწუხარო მოვლენას დასავლეთ ევროპაშიაც ვხედავთ და მისი თავიდან ასაცილებლად საჭიროა კოოპერატიულ დაწესებულებათა ამხედრება. მართალია, ამ ჟამად ჩვენში კოოპერატიული დაწესებულებანი სასურველად ვერ მოქმედებენ, მაგრამ ეს რად უნდა გვაშინებდეს, დასავლეთ ევროპაშიაც იყო დრო, როცა ეს დაწესებულებანი ამგვარივე პირობებით იყვნენ გარს შემოზღუდულნი. მიუხედავათ ამისა დასავლეთ ევროპის კოოპერაციების დიდ მნიშვნელობას, როგორც ეს პატივცემულ რეფერანტს ნათლად აქვს გარკვეული თავისს მოხსენებაში, ამ ჟამად ვერავინ უარს ვერა ჰყოფს. ყველასათვის აშკარაა, რომ კერძო კაცი, კერძო ვაჭარი უფრო მეტ ენერგიას, უფრო მეტს უნარს იჩენს ვაჭრობის საქმეში, სანამ კოლლეგიური დაწესებულება, კერძო ვაჭარი უფრო მეტად დაინტერესებულია საქმის რიგიანად წაყვანისათვის, მაგრამ, რამდენი შემთხვევაა, რომ ამ კერძო კაცთა საქმეებიც ფერხდება და რიგიანად ვერ მიდის. მხოლოდ ცნობები ამ კერძო კაცთა საქმის შეფერხებისა ჩვენ არა გვაქვს, რადგანაც ეს სრულიად კერძო საქმეა და ამიტომაც ვერას ვტყობილობთ. ხოლო, თუ რომელიმე კოოპერატიულ დაწესებულების საქმე შეფერხდა, ამის შესახებ ცნობებს უმალვე ვტყობილობთ გაზეთების საშუალებით. ამითი ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ, თუ კერძო კაცთა საქმეც-კი ფერხდება, რა გასაკვირველია, რომ კოოპერატიულ დაწესებულებათა საქმეებიც შეფერხდეს. განა ეს უნდა გვაშინებდეს? კოოპერატიულ დაწესებულებათა განვითარების საქმეს, რასაკვირველია, ბევრად ხელს უშლის აწინდელი ჩვენში არსებული სოციალური და პოლიტიკური პირობანი, მაგრამ, თუ მთავრობა დარწმუნდება, რომ ამ დაწესებულებათა შემოღებას შეუძლია ჩვენი დაქვეითებული მეურნეობის გამოკეთება, ამ მხრითაც ეშველება საქმეს; მთავრობა შიდა გუბერნიების მიხედვით შესცვლის ჩვენშიაც ამ დამაბრკოლებელ პირობებს. კოოპერაციების ნაყოფიერად მოქმედებისათვის საჭიროა აქტიური მოქმედება, რაიცა ჩვენში არსებულ კოოპერაციებს ამ ჟამად აკლიათ. შეიტცებელიჩეს, რაფაიზენის კოოპერატიული დაწესებულებანი მიტომ ნაყოფიერად მოქმედებდნენ, რომ აქტიურ საქმის წარმართვას უპირველესი ადგილი ქონდა დათმობილი. სამოციან წლებში შემნახველ-გამსესხებელ კასსებს აწარმოებდა ერთი პატარა წრე, რომლის აქტიური მოქმედება სრულიად თავდები იყო ამ კასსების ნაყოფიერებისა, ხოლო, როცა ამ წრემ შესუსტა ეს აქტიური მოქმედება, დასახელებულმა კასებმაც თავისი არსებობაც მოსპო. თ-დ ს. ვახვაშვილმა ამნაირი დასკვნა გამოიყვანა თავის ვრცელი სიტყვიდან. კოოპერატიული დაწესებულებების ჩვენში დაარსება ბევრად ხელს შეუწყობს სასოფლო სამეურნეო განვითარების საქმეს, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ტფილისის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაარსოს აქტიური ორგანო, რომელიც მონაწილეობას უნდა იღებდეს კოოპერაციების ბედ-იღბლის საქმეში. გარდა ამისა და-არსებულ უნდა იქმნას კოოპერაციების „სოიუზები“, მთავრობამ ფართო კრედიტი უნდა გაუხსნას კოოპერაციებს და გამოსცეს სათანადო კანონები, რომელიც უფრო აადვილებს კოოპერატიულ დაწესებულებათა დაარსების საქმეს. აგრონომმა ს. სააკოვმა ამავე კრებაზედ იგივე აზრი გამოსთქვა, რასაც 5 ნოემბრის კრებაზედ ამტკიცებდა. ბ-ნი სააკოვი ფიქრობს, რომ კოოპერატიული დაწესებულებანი კავკასიაში ფართო ნიადაგს ვერ მოიპოვებენ, რადგან ამას მეტად ხელს უშლის ხალხის სრულიად გაუნათლებლობა, გლეხის აწინდელი ეკონომიურად სიღატაკე და ისეთის დაწესებულებების უქონლობა, რომელიც ხელს უწყობენ კოოპერაციების განვითარების საქმეს. სანამ საერობო დაწესებულებანი არ იქმნებიან შემოღებული ჩვენში, განმარტა ორატორმა, მანამდის საეჭვოა კოოპერატიულ დაწესებულებებმა რამე თვალსაჩინო კვალი გაავლოს ჩვენს დაქვეითებულის სასოფლო-სამეურნეო განვითარების გზაზე.

ჩვენებური ამბები

ჭიათურა. სწორედ ალა-მაჰმადხანობაა ამ ჟამად ჭიათურაში, ჩემო მკითხველო. ერთის სიტყვით, ჩემს კალამს არ ძალ-უძს აღწეროს ყველა ის უწეს-რიგობა, რომელიც თანდათან ძრიელდება. ვინც წესიერება უნდა დაიცვას, იმათ თავის ხელობად გაუხდიათ ღვინის სმა, ბანქოს თამაში და სხვა. ყოველ დღე დუქნების მტვრევა, კაცის კვლა, ჩხუბი, გალახვა, მყუდროების დარღვევა, ლოთების ქუჩა-ქუჩა უწესოდ ხეტიალი, გარყვნილ ქალების წივილ-კივილი, ერთი მეორის თმებით თრევა, ჯიბგირობა და სხვა ასეთი უწესობაა. ამ არა სასურველ გარემოებას ესეც უნდა დაემატოს, რომ ზედ ბაზრის შუა ალაგას ვიღაცა ქალმა კარგა ხანია, რაც დაიქირავა ორი-სამი თვალი ოთახი, საცა ჰყავს სამი-ოთხი გარყვნილი მანდილოსანი. ღამე და, თითქმის დღეც არ გაივლის, რომ რაიმე უბედურობა არ მოხდეს ამ ქალბატონის ბინაზედ.

სასურველია დიდი ყურადღება მიექცეს აქაურს „პარიზის“ სასტუმროსაც.

არც რკინის გზის ბუფეტია სასურველს მდგომარეობაში სისუფთავის მხრივ. თუმცაღა იატაკი გასუფთავებული აქვს სადგურს, მაგრამ ნაცვლად ამისა სანოვაგე, ალაჰმა უწყის, რა გვარია, მოსამსახურე ყმაწვილებიც არ არიან სუფთად გამოწყობილნი, ყველა გაქონილი ტანისამოსით დაიარება. უარეს მდგომარეობაშია რესტორან-სამიკიტნოებიც; აქაც ბინძურობა სხვა-და-სხვა ხრიკები, ერთ დროს მომზადებული საჭმელი ხუთი დღის შემდეგ გულ-უბრყვილო მუშტარზე საღდება.

კარგა ხანია, რაც ჭიათურა—ჭიქოურაში ბანქოს თამაშობა უპირველეს საგნად გაუხდიათ, ხუთ-ექვს თუმნობით აგებენ ფულს, ორი-სამი ღამეობით ზის ბნელს სარდაფში ერთი და იგივე მოთამაშე გულზე ბოღმა მოდებული, თვალებ გასისხლიანებული, ფერმკრთალი, ხმა ჩახლეჩილი, მთელი ორი დღე და ღამე უსმელ უჭმელი.

მეტ რიცხვს აქაურებისას შეადგენს უბაშფორთო ხალხი. ვინ იცის, რომელ ცის კიდედან არიან გადმოხვეწილნი. ამ გვარი კაცი თვეობით და წლობითაც, უბინაოდ და უადგილოდ, დაეხეტება, დღეს სასტუმროში ბინადრობს, ხვალ სამიკიტნოში ამოჰყოფს თავს, ზეგ ფურნეში და ხშირად ცის ქვეშ ხის ძირადაც მოუხდება ხოლმე ღამის გათევა. მკითხველი დამეთანხმება, რომ ასეთი ბოგანო ვაჟბატონების წყალობით ყოველივე ბოროტების ჩადენა მოსალოდნელია.

გ. აპოსელი.

—

კაკი (საინგილო). ყოველ ხალხის ცხოვრებაში მოიპოვება ესა თუ ის ნაკლი, მაზარალებელი ჩვეულება, ცუდი მოვლენა. ამ ნაკლთა მოსპობა, მავნე ჩვეულების გარდაქმნა ან სრულიად განდევნა

ფელეტონი

თავ-განწირული კურდღელი

მოთხრობა მ. ე. სალტიკოვისა

(თარგმანი).

ერთხელ კურდღელმა მგლის წინაშე დანაშაული ჩაიდინა: ჩაირბინა მგლის სოროს ახლო, მგელმა დაინახა და დაუყვირა: „კურდღელო, მოიცა, გეთაყვა!“ კურდღელი არამც თუ არ დადგა, უფრო მოუმატა სირბილს. მგელმა სამი გადახტომით დაიჭირა კურდღელი და უთხრა: „რადგანაც ჩემი პირველი ბრძანების უმალვე არ დასდექი,—იცოდე ჩემი განჩინება: სიკვდილით დაგსჯი შუაზედ გაგლეჯით. მაგრამ, რადგანაც ეხლა მეცა და ჩემი ძუც მაძღრები ვართ, და ერთი ხუთიოდე დღის სამყოფი საგზალიცა გვაქვს, ამიტომ იჯექ ამ ჩირგვის ძირში და ელოდე შენს რიგსა. ან, იქნება... ჰა-ჰა-ჰა!... შეგიწყალო!“

ზის უკანა ფეხებზედ კურდღელი ჩირგვის ძირში და არც-კი ჩუჩუნებს. მარტო ერთ რაზედმე ფიქრობს: რამდენიმე დღისა და საათის შემდეგ სიკვდილი უნდა ეწვიოს. გაიხედავს ხოლმე იქით, საითაც მგლის სოროა, იქიდან-კი აბრიალებული მგლის თვალი უყურებს. ხან უფრო დიდ ცეცხლშია: მგელი თავისი ძუთი გამოისეირნებს ხოლმე მინდორზედ მის მახლობლად; შეხედავს იმას, რაღასაც ეტყვის თავის ძუსა და ორნივე ჩაბჟირდებიან ხოლმე: ჰა, ჰა, ჰა! ხან მგლის ლეკვები ჩამოეკიდებიან: თამაშობის დროს მიირბენენ მასთან, ეალერსებიან, კბილებს აკაპუნებენ... კურდღელს-კი გული უბრუნდება.

კურდღელს არას დროს ისე არ ჰყვარებია სიცოცხლე, როგორც ეხლა. მარტო ხელი იყო, ერთი ქვრივი კურდღლის ქალი შეაგულა და იმის შერთვა უნდოდა. სწორედ იმასთან, საცოლოსთან, მირბოდა ის იმ დროს, როცა მგელი კისერში სწვდა. იცდის და ფიქრობს: „იქნება საცოლომ, იმ თვალ-მარღმა, მიღალატა! ან იქნება, მიცადა, მიცადა და სხვა... შეიყვარა... ან იქნება ასეც იყო: თამაშობდა საბრალო ჩირგვებში და მგელმა ჩაბღუჯა“!..

ცრემლები აღრჩობენ საბრალოს ამ ფიქრის დროს. აი, ესეც კურდღლური ოცნებები! ცოლის შერთვას აპირებდა, სამოვარიც იყიდა, ოცნებობდა, ჩაის როგორ დალევდა ახალგაზრდა საცოლო კურდღელთან, და ამის მაგივრად ვის ჩაუვარდა! ნეტავი რამდენი საათი დარჩენია სიკვდილამდის?

ზის ერთხელ ღამე და სთვლემს. ესიზრმება, ვითომ მგელმა იმას თავის განსაკუთრებული საქმეები ჩააბარა და თვითონ-კი რევიზიაზედ დარბის. ამის საცოლოს ესტუმრება ხოლმე. ასე ჰგონია ვიღამაც უცბად ხელი წაჰკრა გვერდში: დაათვალიერა — ცოლის ძმაა.

— შენი საცოლო კვდება—ეუბნევა.—გაიგო, რა უბედურებაც დაგატყდა და ერთ საათში დაჭლექდა. ეხლა მარტო იმასა ფიქრობს: „ნუ თუ ისე უნდა მოვკვდე, რომ უმშვენიერესს ვერ გამოვეთხოვოო!“

ყურს უგდებდა ამ სიტყვებს დასჯილი და გული ეგმირებოდა. რისთვის? რითი დავიმსახურე ასეთი მწარე ხვედრი? ჭკვიანად ცხოვრობდა, რევოლიუციები არ მოუხდენია, საბრძოლველად იარაღით არსად გასულა, მირბოდა მხოლოდ თავისი საჭიროების გულისთვის—ნუ თუ ამისთვის უნდა მოკვდეს! სიკვდილი! დაფიქრდით, რა სიტყვაა ეს! მარტო ის-კი არ უნდა მოკვდეს, უნდა მოკვდეს იმის ნაცარა კურდღელიც, რომელიც მხოლოდ იმისთვის არის დამნაშავე, რომ ეს თვალ-მარღი გულით შეიყვარა! როგორ გაფრინდებოდა იმასთან, მოხვევდა იმ ნაცარა კურდღელს ყურებზედ წინა ფეხებს, ეალერსებოდა, თავზედ ხელს გადაუსვამდა.

— გავიქცეთ!—ეუბნება გამოგზავნილი.

რომ გაიგონა ეს სიტყვები დასჯილმა, ერთბაშად ფერი ეცვალა. სულ ერთიანად მოიკუნტა და ფეხები ზურგზედ ვაილაგა. აი, საცაა ისკუპებს და მერე ეძებონ. ამ დროს იმისთვის საჭირო არ იყო მგლის სოროსკენ გაეხედა, მაგრამ გაიხედა-კი. კურდღელს გული გადაუბრუნდა.

— არ შემიძლიან,—უთხრა კურდღელმა,—მგელმა ამიკრძალა.

მგელი-კი ყველაფერსა ხედავს, ყველაფერი ესმის. ჩუმ-ჩუმად მგლის ენაზედ ძუ მგელს ეჩურჩულება. ეტყობათ, კურდღლის პატიოსნებას აქებენ.

— გავიქცეთ!—კიდევ ეუბნება გამოგზავნილი.

— არ შემიძლიან!—იმეორებს დასჯილი.

— რას ჩურჩულებთ ემანდ, რა ეშმაკობას აპირობთ?—დაუღრიალა უცბად მგელმა.

ორივე კურდღელს იქვე გული შეუწუხდათ. გაება გამოგზავნილიცა!

რა სასჯელია დადებული ყარაულის გასაქცევად შემგულიანებელისთვის! ეხ, აღარ ეყოლება ნაცარა კურდღელს აღარც ქმარი, აღარც ძმა. ორსავე მგელი ჩანთქავს.

გონზედ მოვიდნენ თვალ-მარღები, იმათ წინ მგელი და მისი ძუ კბილებს აკაპუნებდნენ, ბნელაში იმათი თვალები სანთელივით ანათებდნენ.

— ჩვენ, თქვენო კეთილშობილებავ, არაფერი... ისე, ჩვენთვის... ჩვენი სოფლელი მოვიდა ჩემს სანახავადა,—ლიკლიკებს დასჯილი და თან შიშითა კვდება.

— ჰოო, „არაფერი!“ გიცნობთ მე თქვენ! თითზედაც არ უკბენთ, მე ვიცი, კაცსა, პირში რომ ჩაგიდოთ! მიამბეთ, რაშია საქმე?

— ასე და ასეა, თქვენო კეთილშობილებავ,—ჩაერია აქ ცოლის ძმა:—ჩემი და ამის საცოლოა, კვდება, და გთხოვთ, არ შეიძლება, გამოუშვათ გამოემშვიდობოს?..

— ჰმ!.. ეგ კარგია, რომ საცოლოს საქრმო უყვარს,—სთქვა ძუ მგელმა,—მაშ ბევრი ბაჭიები ეყოლებათ, მგლებს საჭმელი მოემატებათ. მე და ჩემ ხვად მგელსაც გვიყვარს ერთმანეთი და ბევრი ლეკვებიცა გვყავს. რამდენიმე გაშვებული გვყავს, ორი კიდევ ჩვენთანა ცხოვრობს. მგელო, ჰაი მგელო, გაუშვათ პატარძალთან ნეფე?

— კარგი-და, ეგ ხომ ხვალზევით უნდა შეიჭამოს...

— მე, თქვენო კეთილშობილებავ, მოვირბენ... ხელად დავბრუნდები... მე... ‚ნამდვილად მოგახსენებთ, მოვალ! და მგელს ეჭვი რომ არ შეჰპაროდა, ვაი თუ არ დაბრუნდესო, ისე ყოჩაღად აჩვენა თავი, რომ მგელსაც-კი მოეწონა და იფიქრა: „ნეტავ ამისთანა ჯარის-კაცები მყავდნენო“!

ძუ მგელმა სიბრალულითა სთქვა: „აბა, უყურეთ, კურდღელია და როგორ უყვარს მეუღლე!

რაღა გაეწყობოდა, დაყაბულდა მგელი, გაუშვა კურდღელი საცოლოს სანახავად, იმ პირობით-კი, რომ ვადაზედ უეჭველად დაბრუნებულიყო იმის ცოლის ძმა-კი თავისთან დასტოვა მძევლად.

— თუ ორის დღის შემდეგ ექვსი საათისთვის არ დაბრუნებულხარ, შენ მაგივრად ამას შევჭამთ. თუ დაბრუნდები, მაშინ ორსავე შეგჭამთ. ან იქნება... ჰა—ჰა!.. შეგიწყალოთ კიდეც!

როგორც ისარი, ისე დაეშვა თვალ-მარღი.

ცხოვრების გაუმჯობესება, უმეტესად დამოკიდებულია ხალხის გონებრივ განვითარებაზედ, საზოგადოდ მის კულტურულ ზრდაზედ. უმეტეს შემთხვევაში არსებული ნაკლის შევსება, ე. ი. წარმატების პროცესსი მიმდინარეობს შეუმჩნევლად, ხალხის თანდათანობით განვითარებასთან ერთად. ზოგიერთს შემთხვევაში-კი ამ პროცესს სხვა მიმდინარეობა აქვს და ეს მაშინ, როცა ცხოვრების გაუმჯობესობის საჭიროება ყველა წევრს-კი არა აქვს შეგნებული, არამედ ზოგიერთს მათგანს, რომელნიც სხვა-და-სხვა გარემოებათა მეოხებით, თვისი შეგნებით, გონებით სხვებზედ უფრო დაწინაურებულები არიან. ამ უკანასკნელების ცდა და ღონის-ძიებანი ცხოვრების გაუმჯობესობის საქმეში იწვევენ ხოლმე უკმაყოფილებას, სამდურავს და წინააღმდეგობასაც... ასეთი მდგომარეობა გრძელდება იმ დრომდის, ვიდრე საზოგადოების უმეტესობა არ შეიგნებს, დროსა და გარემოების მიხედვით, მავნე მოვლენათა უადგილობას, დროწასულობას, მაზარალებლობას. მანამდე-კი ბევრი ცდა და შრომა საჭირია მოწინავე ელემენტს, რომ მისგან შეგნებული ცხოვრების გამაუმჯობესებელი პირობანი საზოგადო შეგნებად გარდააქციოს...

საინგილოს ერთს დიდს სოფლის—კაკის საზოგადოებამ, ამას წინედ დაადგინა საგულისხმიერო განაჩენი, რომლის ძალითაც ამიერიდგან იკვეთება რამდენიმე ჩვეულება, რომლებიც ძლიერ მაზარალებელნი იყვნენ მცხოვრებლებისათვის. მკითხველმა რომ უკეთ გაიგოს, თუ რამ გამოიწვია აღნიშნულ განაჩენის დადგენა და რა მიზანი დაედო მას, საჭიროა, ცოტა შორიდგან დავიწყოთ.

კახეთის აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს ნაწილს (აწინდელი ზაქათალის ოლქი) ამ სამასის წლის წინედ მკაცრი ბედი ეწვია: შაჰ-აბაზ დიდმა აღაოხრა, შემუსრა იგი. ამ დროიდგან ეს მხარე თითქმის სწყვეტს კავშირს საქართველოსთან, მასში ვრცელდება მაჰმადიანობა. ამ გამაჰმადიანებულ ქართველებს შემდეგში დაერქვათ ინგილო (ჰვენგილავ—ახლად გამარჯვებულს ნიშნავს თათრულად). ინგილოების ხვედრი, თავისდა-თავად მკაცრი და საზარელი, უფრო საშიში შეიქმნა: საქართველოსაგან მოწყვეტილ-დაშორებულთ მოელოდათ გადაგვარება. მაგრამ ამ აუტანელმა მონობა-შევიწროებამ მაინც სრულიად ვერ აღმოფხვრა მათ გულიდგან საქართველოსადმი სიყვარული. ბოლო დროს, ამ 50 წლის წინ, ინგილოთა ერთმა ნაწილმა თავისი თავი კვლავ ქართველად აღიარა და ამასთანავე სამშობლოს ეკლესიას დაუბრუნდა. რამდენიმე სოფელი უკვე მოინათლა. ზოგიერთი სოფლები-კი ფანატიკოს მოლების ზედ-გავლენით არამც ქრისტიანულს აღსარებას, თვის ქართველობასაც-კი უარჰყოფენ.

აი, ამ ახლად მოქცეულს ქართველების შორის დარჩომილა რამდენიმე ჩვეულება, რომელნიც არ შეესაბამება არც ეხლანდელს დროს, არც ქრისტიანულს მოძღვრებას.

უმთავრესი ჩვეულებანი, რომელთ შესახებ განაჩენით დაადგინა მათი მოსპობა კაკის საზოგადოებამ, შემდეგნი არიან: საცოლოს ყიდვა. ინგილოებში ქალის თხოვნის წესი ისეთი არ იყო და არც აქამდის არის, როგორც, საზოგადოდ, სხვაგან საქართველოში. აქ ქალის და ვაჟის გასინჯვას, ერთმანერთის თვალში მოსვლას, მოწონებას, შეყვარებას ადგილი არა აქვს. ამ დიდ-მნიშვნელოვან, ოჯახურ კეთილ-დღეობისთვის საჭირო აქტს აღებ-მიცემობის ბეჭედი ადევს. ვაჟიანები (სასიძოს უფროსები) შეიგულებენ სადმე გასათხოვარს ქალს თუ არა, მიუგზავნიან შუა-კაცებს და შეუთვლიან, რას მოითხოვს იგი ქალში. ამისთანა შემთხვევაში, რასაკვირველია, ქალის პატრონი სცდილობს ძვირად დააფასოს ქალი. სასიძონი-კი სცდილობენ ნაკლებში შეიძინონ იგი. ამასობაში შემცილებლებიც გამოჩნდებიან ხოლმე, რომლებიც ფასს უმატებენ და სცდილობენ ქალი თავიანთ ვაჟისთვის გაარიგონ.—ქალის პატრონიც არჩევანში შედის, და რომელიც მეტს ფასს იძლევა, ქალსაც იმას აძლევს. ვაჟიანები ქალში ხომ აძლევენ ფულს, მაგრამ არა ნაკლები ეხარჯებათ სხვა-და-სხვა შემცილებლების ჩაჩუმებაში. ამისთანა გარემოებაში ცოლის შერთვა ხანდახან ორმოცი თუმანი და მეტიც უჯდება. ამდენი ფულის დახარჯვა-კი კაცს მძიმე ვალში აგდებს.

ბოლოს დროს ამისთანა ყიდვა-კაყიდვა უფრო ჩუმათ, მალულად სწარმოებდა, რადგანაც ამას სძრახავდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ როგორც შეგნებული ნაწილი ინგილოებისა, ისე სამღვდელოებაც. თუ რამდენად მაზარალებელი და ეკონომიურად გამატყავებელი იყო ასეთი ჩვეულება, ეს ხალხის უმეტეს ნაწილს შეგნებულიც ჰქონდა, მაგრამ საჭირო იყო დაკანონება. მადლიანი მოთავეებიც გამოჩნდნენ, რომელთა შთაგონებით და და გავლენით შესდგა განაჩენი, რომლის ძალითაც ესეთს საზარალო ჩვეულებას ამიერიდგან ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ამ სოფელში.

ამ განაჩენშივეა შეტანილი ერთი მუხლი „ქალვაჟის დანიშვნის შესახებ პატარაობაში, ხშირად აკვანშიაც“, ამ ნაირს დანიშვნას-კი ბევრი უსიამოვნება, მდურვა, ჩხუბი, უბედურობა და მტრობა მოსდევს ხოლმე, თუ ვინიცობაა ქალის დედ-მამამ აღარ მოისურვა დანიშნულს მისცეს თავისი შვილი და სხვას მიათხოვოს. ამისთანა „გაშავებული“ სასიძო არავითარ საშუალებას არა ჰზოგავს, რომ მტრობა გაუწიოს და ზარალი მიაყენოს როგორც ქალის მშობლებს, ისე თვის მეტოქეს.

ქონებრივ მზარალებელ ჩვეულებად ინგილოებისთვის უნდა ჩაითვალოს ხმარება „იმარათისა“ მათის დედაკაცების მიერ (იმარათი არის ვერცხლის ფულებით მოჭედილი პრტყელი ქამარი, ფულებითვე გაწრელებული გულის, მხრების და თავის სამკაული). იმარათის ხმარება ხალხში ისე ხშირი აღარ არის, მაგრამ, რომ ყოველს გათხოვილს ქალს თან უთუოდ უნდა გაჰყვეს იმარათი, ეს ჩვეულება-კი ისევ ძალაშია და აუცილებლად სრულდება. გათხოვილს ქალს თან მიაქვს იმარათი, რომელიც 50—150 მანეთამდე ღირს და ხმარებით-კი ხშირადაც არ ხმარობს, ხანში შესულ დედაკაცებს ხომ თვისი იმარათი კიდობანში უწყვიათ უგვლად უსარგებლოდ... ასეთი ძვირფასი და ამასთანავე უსარგებლო ნივთის შეძენა ძრიელ მაზარალებლად მისაჩნევია, და ამიტომ განაჩენით დადგენილია, რომ ამიერიდგან იმარათის გატანება ქალის გათხოვების დროს სავალდებულო აღარ იყოს.

შეტანილია განაჩენში ის სავალდებულო დადგენილებაც, რომ კვირა-უქმე დღეს ხალხი აუცილებლათ იარებოდეს საყდარში.

ასეთია შინაარსი კაკის საზოგადოებისაგან დადგენილ განაჩენისა. მკითხველი თვით ჰხედავს, რომ უმთავრესი მიზანი და აზრი ამ განაჩენისა არის მაზარალებელ ჩვეულებათა მოსპობა და მით კეთილ განწყობილების დამყარება სოფლელთა შორის. ეს გარემოება სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, და დიახ რომ საქებურნი და და მადლობის ღირსნი არიან ის მოთავენი, რომელთა რჩევით და ჩაგონებით მოეწყო ეს საქმე— და აგრეთვე ის შეგნებულნი პირნი თვით საზოგადოებისა, რომელთაც კეთილი განზრახვა აღსრულებაში მოიყვანეს. უპირველეს ყოვლისა-კი მადლობის ღირსია კაკის ნაწილის უფროსი თ. ალ რევ. ვაჩნაძე, რომელიც საქებურის თანაგრძნობით ეკიდება ხალხის ცხოვრების გაუკეთესობის საქმეს, რომელიც ყველა ღონესა ღონობს, რომ კაცური ცხოვრება, სანათლე და თანამედროვე ცხოვრების შეგნება დამყარდეს ხალხში. და აკი ხალხიც აფასებს თ. ვაჩნაძის მისწრაფება-მოქმედებას და თავს ბედნიერად რაცხს ამისთანა უფროსის ხელში.

დასასრულ სამართლიანობა გვაიძულებს მოვიხსენიოთ კაკის მამასახლისი გაბრიელ ჯანაშვილი (ძმა ჩვენის ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილისა), რომელიც ერთგულად, თავდადებით და დიდის მუყაითობით ემსახურება საზოგადოებას, თავისს რთულს სამსახურს პატიოსნად ასრულებს და სოფლისთვის ყოველსავე სასიკეთო საქმეში დიდს გულმოდგინეობას იჩენს.—

ბ. ფ—ძე.

კავკასია

მოსკოვში მალე იქმნება მასწავლებელთა კონგრესი. ამისთვის ბაქოს მასწავლებელთ საზოგადოების გამგეობას უთხოვნია რკინის გზის მმართველობისათვის, საზოგადოების მიერ მოსკოვში გაგზავნილ დელეგატებს შეღავათიანი ბილეთები მიეცესო. საზოგადოების გამგეობას მმართველობისაგან უარი მოსვლია.

—

წასულ კვირას ბაქოს ბირჟის სადგომში ბირჟის კომიტეტს ვაჭრების თანადასწრებით კრება ჰქონდა მაღაზიებში სამუშაო ვადის მოსაწესრიგებლად. კრებამ დაადგინა:

1) 12 საათის სამუშა დღე 1½ საათით დასვენება სადილისთვის.

2) მაღაზიები და დუქნები გაიღება დილის 7½ ს. დაიკეტება—ღამის 7½ ს.

3) თევზის, ხორცის, მწვანილის დუქნები—გაიღება დილის 6 ს., დაიკეტება ღამის 6 ს.

4) კვირაობით მაღაზიები და დუქნები ყველა დაკეტილი უნდა იყოს იმ დუქნებს გარდა, სადაც აუცილებლად საჭირო საქონელი იყიდება. ამ გვარი დუქნები გაიღება მხოლოდ დილის 6 ს. და დაიკეტება საღამოს 10 ს.

5) მცირე-წლოვანთათვის 10 საათით სამუშაო დღის შემოღება.

—

1902 წლის 1—8 ნოემბრამდე ბაქოდგან გაუტანიათ ნავთი სულ: 2,118,741 ფუთი 13 გირ.

რუსეთი

როგორც გამოძიებას აღმოუჩენია, ხარკოვის გუბერნატორის ობოლენსკის მოკვლა გლეხს თომა კაჩურს განუზრახავს. განზრახვას პოლიტიკური სარჩული სდებია. მისი საქმე სამხედრო სასამართლომ განიხილა და გარდაუწყვიტა დახვრეტა. მაგრამ თვითონ ობოლენსკის თხოვნით, როგორც დეპეშაში იყო მოხსენებული, დახვრეტა კატორღაში უვადოდ გაგზავნით შეეცვალა („Прав. Вѣст.“).

— კავკასიიდგან წელს 172,183 ფუთი თამბაქო გაუტანიათ რუსეთში, ე. ი. 25,000 ფუთით მეტი წინა წელზე.

— როგორც „Новое Время“ იტყობინება, ყაზანისა, ხარკოვისა და ოდესის უნივერსიტეტებში 19 კათედრაა თავისუფალი.

— პეტერბურგში მალე გამოვა ახალი ლიტერატურულ-ფილოსოფიური ჟურნალი: „Новый Путь“.

— სახელმწიფო ხაზინას შემოსვლია საანგარიშო წელს:

სასმელზე დადებულ გადასახ.—316,691,383 მან. ე. ი. 8,1% მეტი, რასაც ელოდნენ.
თამბაქოზე—41,198,332 მ. ე. ი. 9,5% მეტი.
შაქარზე —65,159,990 მ. 3% მეტი.
ნავთზე —25,899,561 მ. 5% მეტი,
სპიჩკაზე — 7,368,570 მ. 8,2% მეტი.

საერთოდ არა პირდაპირ გარდასახადიდგან შემოსავალმა სავარაუდო 7%-ით გადააჭარბა. საგერბო, სასამართლოს და საკანცელარიო გადასახადიდგან—36,116,605 მ. 7,1% მეტი. პასპორტებიდგან—62,659 მან. 14% ეტი.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. მარტო გამოქნილობა და ენა-წყლიანობა რომ კმაროდეს ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის, ეხლანდელი მინისტრ-პრეზიდენტი ავსტრიისა—ფონ-კერბერი სწორეთ იდეალური მმართველი იქნებოდა. მისი სიტყვები, როგორც სილამაზითა და სიკოხტავით, ისე დედა-აზრის სიმტკიცითა და ხელოვნურად განვითარებით, მჭევრ-მეტყველობის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, როგორც ერთმა ჩეხმა დეპუტატმა სრულიად სამართლიანად შეჰნიშნა, „პარლამენტი—რიტორიკობის სკოლა ხომ არააო“. ამიტომაა, რომ მისმა ლამაზმა სიტყვებმა ვერ შეამცირა უკმაყოფილოთა რიცხვი პარლამენტში. ამას წინად მინისტრ-პრეზიდენტმა პალატას წარუდგინა „ავსტრიაში ენათა ხმარების ძირითადი პრინციპები“; კერბერს დიდი იმედი ჰქონდა ამ პროექტისა, მაგრამ ბედმა უმუხთლა: ჩეხელ დეპუტატებმა, არამც თუ ერთხმად უარ-ჰყვეს ეს „პრინციპები“, გადასწყვიტეს, ნურავითარ მოლაპარაკებას ნუღარ გავმართავთ მთავრობასთან, სრულიად განვუდგეთ და ყველაფერში ხელი შევუშალოთო. მინისტრ-პრეზიდენტი შეაფიქრა ამ ამბავმა, მით უმეტეს, რომ მთავრობას განზრახვა ჰქონდა პალატისათვის წარედგინა პროექტი ახალ ჯარისკაცთა რიცხვის გამრავლებისა. პრეზიდენტმა, თუმცა პირველ ხანებში ყური მოიყრუა და ყველას ისე ეჩვენებოდი. თითქო სრულიად არ აფიქრებს ჩეხთა განდგომაო, კარგათ ესმოდა, რომ ამ პროექტის განხორციელება ყოვლად შეუძლებელი იყო ჩეხების დაუხმარებლად. ამიტომაც საჭიროდ სცნო რამოდენადმე მაინც შეესუსტებია ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც ზემოხსენებულ „პრინციპებით“ გამოიწვია. სწორედ ამ აზრით ილაპარაკა კერბერმა უკანასკნელ კრებაზე და, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, სწორედ ფრთა შეასხა თავის ისედაც იშვიათ მჭევრმეტყველობას; ამ ჟამად კერბერს, რასაკვირველია, კრინტიც აღარ დაუძრავს გერმანულ ენის სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ. პირიქით მინისტრ-პრეზიდენტმა აღიარა, ავსტრია—ეროვნებათა მიხედვით არაა გაერთიანებული ქვეყანა და, მაშასადამე ლაპარაკიც-კი მეტია სახელმწიფო ენის შესახებაო. მხოლოდ აუცილებლობა გვაიძულებს სახელმწიფოს ზოგიერთ დაწესებულებაში (როგორც, მაგ. სამხედრო უწყებაში და ცენტრალურ მმართველობაში) ერთი რომელიმე ენა იყოს მიღებულიო; მაგრამ ცოტად მაინც რომ გავსცდეთ ამ უსაჭიროების წრეს, არასასურველ ერთფეროვნობას შევიტანთ ჩვენს სახელმწიფო ცხოვრებაში და ეს-კი, უეჭველია, არც საერთო საქმეს არგებს და არც სხვა-და-სხვა ერთათვისაა სანუკვარიო. შემდეგ ორატორმა განაცხადა, მე სრულიადაც არა ვარ წინააღმდეგი, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი „ძირითადი პრინციპები“ შეიცვალოს, თუ გინდ ყოველივე ანბანი შესცვალეთ ამ პროექტისაო, [illegible] ის გარემოება შეგვიშლის ხელსა, მთავრობის სახელით იქმნება იგი შემოტანილი და დაკანონებული, თუ თვით პარლამენტისაო. „ჩვენ არაფერი ისე არ გვეუცხოვება, როგორც აზრი, ვითომ ჩეხების დაჩაგვრა და ზიანი გვწადდეს; არა, ეს კიდევ კარგად ვერ გამოვხატე; ჩვენ ისე არა გვიხარის-რა, როგორც ბოჰემიის სამთავროში მშვიდობიანობის დამყარება. მაშ, ვახსენოთ ღმერთი, უკუ ვაგდოთ ყოველი წინასწარი აზრი და შევუდგეთ საერთო საქმეს! რაც უნდა დაგვიჯდეს, ენათა საკითხი უეჭველად უნდა გადასწყდეს, თუ გნებავთ, რომ ავსტრიის პარლამენტმა თავის მიზანს მიაღწიოს; გახდეს იმ შეურყეველ ბურჯად ავსტრიის ყველა ერთათვის, რომელსაც უძლიერესი გრიგალიც-კი ვერას ავნებს. სწორედ წარმოუდგენელი და აუტანელია განვითარება ისეთ განათლებულ ერთა, როგორიც ჩეხები და გერმანელები არიან. თუ ძალად არ დაიფარებთ თვალებზედ ხელსა და ამ უცილობელ ჭეშმარიტებას აღიარებთ, ყოველივე დაბრკოლება თავის თავად“ განქარწყლდება. ოპტიმისტობაში-კი ნუ ჩამოგვართმევთ და, ჩვენა გვჯერა, რომ დღევანდელს განხეთქილებას უეჭველად მოჰყვება თანხმობა და კეთილ განწყობილებაო“... შესაძლოა ვინმე იფიქროს, ეს ტკბილი სიტყვა ტკბილსავე ნაყოფს გამოიღებდაო, მაგრამ, წარმოიდგინეთ სრულიად უნაყოფოდ დარჩა და საქმეს მცირე ოდენიც ვერა შესძინარა.

სანამ მინისტრ-პრეზიდენტი დაიწყებდა ლაპარაკს, სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა დოქტორმა კრამარჟმა და მოაგონა მთავრობას მიზეზი, რომელმაც აიძულა ჩეხები განზე გასდგომოდნენ მთავრობას. კრამარჟმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: „ჩვენ კარგა ხანს ვცადეთ. ეხლა კი იმ აზრს ვადგევართ, რომ ჩვენი უფლებანი უსათუოდ დავიბრუნოთ; თუ ნებით არ მოგვცემენ, ძალას ვიხმართ. ტყუილადა ჰგონებთ, მოწიწებითა და განსაკუთრებულის პატივით მოვექცეთ იმ პარლამენტს, რომელიც ჩვენთვის განხორციელებულ უსამართლოებას წარმოადგენს. მაინცა და მაინც ბევრს არ ვიჯავრებთ, თუ ჩვენი მოქმედება მართლა ზიანს მისცემს პარლამენტსა; ვერც იმით შეგვაშინებთ,—თვით-მპყრობელობას დავამყარებთო; ეს ყოვლად შეუძლებელია; ჩვენი ფინანსების პატრონი განა გაჰბედავს თვით-მპყრობელობას, განსაკუთრებით მაშინ. როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტისათვის აუარებელი თანხაა საჭირო. იმ ძეძვნარიდგან უვნებლად თავის დაღწევა, რომელშიცაა დღეს ჩვენი სახელმწიფო ცხოვრება, შესაძლო მხოლოდ ეროვნებათა გულწრფელის შერიგებით, ანა და, თუ ეს მოუხერხებელი იქნება, თავად მთავრობა უნდა მოიქცეს მეტის გაბედვით (ე. ი. პარლამენტის დაუკითხავად მოახდინოს განკარგულება ენათა თანაბრობისა და დააკანონოს იგი)... მაგრამ, თუ თქვენ—თქვენო აღმატებულებავ—მიჰმართა მინისტრ-პრეზიდენტს ორატორმა—არ შეგწევთ იმდენი სიმამაცე, რომ გაჰბედოთ ამ საქმის განხორციელება, უმჯობესია თქვენი ადგილი ისეთ კაცს დაუთმოთ, რომელსაც მეტი ენერგია, გაბედულობა და ავსტრიის ბედნიერ მომავლის სასიკება ექნებაო“.

(დასასრული ხვალ)

მირბის და დედამიწას ზანზარი გააქვს. თუ მთა დახვდება გზაზედ, ყიჟინით გადირბენს, წყალი შეხვდება კიდევ და ფონს არ დაეძებს—პირდაპირ შესტოპავს, თუ ჭაობი—და მეხუთე ბექობიდგან მეათეზედ ხტის. ხუმრობაა? ცხრა მთას იქით უნდა მივიდეს, იბანოს, ცოლი შეირთოს („უთუოდ შევირთავ ცოლსაო“! ყოველ წუთს იმეორებდა თავისთვის), კიდეც უნდა დაბრუნდეს, რომ მგელს საუზმეზე მოესწროს...

ფრინველებსაც კი უკვირთ ამის სიმარდე და გაიძახიან: „მოსკოვის ვედომოსტებში“ სწერენ, რომ კურდღლებს სულის მაგივრად ორთქლი უდგათო—და უყურეთ... როგორ გაჰკურცხლა!

ბოლოს კიდეც მიირბინა. რამდენი სიხარული ნახა—ეს არც ზღაპრად ითქმება, არც კალმით დაიწერება. ნაცარა კურდღელმა რომ დაინახა თავისი სულიკო, ავადმყოფობა დაავიწყდა. დადგა უკანა ფეხზედ, დიპლიპიტო დაიკიდა და წინა ფეხებით „ცხენოსანთა საცეკვაო“ დაუკრა—საქმროს ამხიარულებდა, რაც-კი შეეძლო. ქვრივი დედა კურდღელი ხომ სულ გაბეცდა. არ იცის, სად დასვას სასიძო, რა აჭამოს. მოირბინეს ყველა მხრიდგან ძალუადედიდებმა, ნათლიებმა დობილებმა—ყველას უნდა, სასიძოს შეხედოს, ან არა და სტუმრობის დროს გემრიელი ნაჭერი ირგუნოს.

მარტო სასიძოს ვერ მოუსვენია. ჯერ პატარძალს არც-კი მიალერსებია კარგად, და გაიძახის:

— ჩქარა აბანოში უნდა წავიდე და ჯვარიც დავიწერო!

— რა ძალიან გეჩქარება? გაეხუმრა დედა კურდღელი.

— ისევ უკან უნდა გავიქცე. მარტო ერთი დღე-ღამით დამითხოვა მგელმა.

აქ უამბო, როგორც იყო საქმე. უამბობს და ცხარე ცრემლი სდის თვალებიდგან. არც დაბრუნება-ღა უნდა და არც უამისობა შეიძლება. სიტყვა მისცა და კურდღელი არ გადავა სიტყვას. ისაუბრეს დედიდა-ძალუებმა—დობილებმაც და ერთხმივ სთქვეს: „მართალი ხარ, თვალმარდო, ჯერ ნუ მისცემ სიტყვას, და, თუ მისცემ,—კიდეც აასრულეო. ჩვენ, კურდღლების ჩამომავლობას, თავის დღეში არავინ მოუტყუებია!

ზღაპარი ხომ ჩქარა ითქმება, მაგრამ კურდღლები უფრო ჩქარა აკეთებენ საქმესა. დილით ჯვარი გადასწერეს, საღამოთი კიდეც ეთხოვებოდა კურდღელი ახალგაზდა ცოლსა.

— უთუოდ შემჭამს მგელი—ეუბნებოდა: შენ მაინც არ მიმტყუვნო. თუ შვილები გაგიჩნდეს, მკაცრად აღზარდე ისინი. თუ ცირკში მიაბარებ, უფრო კარგი იქნება. დალაბანდის დაკვრას გარდა ზარბაზნიდან ცერცვის სროლასაც ასწავლიან.

და უცბად, თითქოს ბურანში მყოფმა (ეტყობა კიდევ მგელი იგონდებოდა), დაუმატა:

— ან იქნება მგელმა, ჰა-ჰა!.. კიდეც შემიწყალოს.

ეს იყო და ესა, კურდღელი მას უკან აღარ უნახავთ.

მანამ თვალ-მარდი მხიარულებდა და ქორწილს იხდიდა, მანამ იმ მანძილზედ, რომელიც ჰყოფდა ცხრა მთას იქითა ადგილს და მგლის სოროს, დიდი უბედურება მოხდა. ერთ ადგილას ისეთი წვიმა მოვიდა და ისე ადიდდა ის წყალი, რომელშიაც კურდღელმა ღიმილით გამოსტოპა, რომ ათი ვერსის სიგანეზედ მოედო არე-მარესა. მეორე ადგილას არონა მეფემ ომი გამოუცხადა ნიკიტა მეფეს და იმ გზაზედ, რომელზედაც კურდღელს უნდა გაევლო, ომი იყო გაჩაღებული. მესამე ადგილას ხორველას ეჩინა თავი, ასე რომ ასს ვერსზედ უნდა მოეარა ჩამწკრივებულ კარანტინებისთვის. ამას გარდა მგლები, მელები, ბუები ყოველ ნაბიჯზედ ყარაულად იდგნენ.

ჭკვიანად მოიქცა თვალ-მარდი. წინათვე ისე მოიანგარიშა, რომ სამი საათი მეტი რჩებოდა, მაგრამ ამდენი დაბრკოლება რომ დაატყდა თავს, გული ემჭვალებოდა. მირბის მთელი საღამო, მირბის შუაღამემდის. ფეხები ქვებზედ სირბილით დაესერა. ეკლიან ტოტებში ძრომით გვერდებზედ ტყავის ნაფლეთები დაეკიდა, თვალები აერია, პირიდგან სისხლის დორბლი გადმოსდის, მაგრამ კიდევ რამდენი მანძილი დარჩა გასარბენი! მძევლად მყოფი მეგობრის სურათი ცოცხალივით უდგა თვალწინ. სდგას ეხლა ყარაულად მგლის წინა და ფიქრობს: „რამდენისამე საათის შემდეგ საყვარელი სასიძო ჩემ საშველად მოირბენს“. აგონდება ესა, და უფრო ძალიან გარბის. არც მთა, არც ბარი, არც ტყე, არც ჭაობი არაფრად არ მიაჩნია. რამდენჯერ გული გასკდომას უპირებდა, მაგრამ გულზედაც-კი ძალა იქონია, რომ უნაყოფო აღელვების გამო არ მოვცდე უმთავრეს საქმესო. ცრემლისა და ვარმისთვის ეხლა არა სცალიან; დეე, ჩაქრეს ყველა გრძნობა, ოღონდ-კი მეგობარი მგლის პირიდგან დავიხსნაო.

აი გათენებამაც მოატანა. ბუები და ღამურები სამალოდ მოემზადნენ. ცივმა ნიავმა დაჰკრა, უცბად გარეშემო ყველაფერი ჩაჩუმდა, სიცოცხლე აღარ ეტყობოდა. თვალ-მარდი-კი მირბის და სულ ამას ფიქრობს: „ნუ თუ მეგობარს ვერ დავიხსნი“?

წითლად შეიღება აღმოსავლეთი. ჯერ შორს ჰორიზონტზედ ღრუბლებს ცეცხლის ფერი დაედვა, მერე უფრო და უფრო ემატებოდა სიწითლე და უცბად ალი ავარდა! ბალახზედ დიდებულმა რთვილმა ბრწყინვა დაიწყო. გამოიღვიძეს ჩიტებმა. გამოცოცდნენ ჭიანჭველები, მუმლები. საიდღანაც მოვიდა ბოლის სუნი. პურმა და ქერმა უფრო და უფრო მოუმატეს ჩურჩულს. თვალ-მარდი-კი ვერაფერსა ჰხედავს, არაფერი ესმის, მარტო ერთ რასმე იმეორებს: „დავღუპე ჩემი მეგობარი, დავღუპე“!

მაგრამ აი მთა. ამ მთას იქით ჭაობია და იქ მელის სორო... დაიგვიანე, თვალ-მარდო, დაიგვიანე!

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რომ მთის წვერზედ შემხტარიყო... შეხტა! მაგრამ სირბილი აღარ შეუძლიან, ქანც გამოლეული ეცემა. ნუ თუ ვერ მიირბენს იქამდის?

მგლის სორო, როგორც ხელის გულზედ ჰქონდეს კაცს, ისე სჩანს მელის სოროდგან; სადღაც, შორს სამრეკლოზედ ექვსი საათი დაჰკრა და თითო ზარის დაკვრის შემდეგ, ასე ჰგონია ჩაჭუჩსა სცემენო გულში დატანჯულ პატარა ნადირსა. უკანასკნელად რომ დაჰკრა საათმა, მგელი გამოვიდა სოროდგან, გაიზმორა სიხარულით კუდი გაიქნია, მივიდა მძევალთან, მოჰხვია ფეხები და ჩაუყარა მუცელში კლანჭები ორად გასაგლეჯად: რომ ერთი ნახევარი თვითონ აეღო, მეორე ძუ მგლისთვის მიეცა. ლეკვებიც იქ არიან, შემოსხდომიან გარშემო დედ-მამას, კბილებს აკაპუნებენ, სწავლობენ კურდღლის შეჭმას.

— აქა ვარ, აქა!—ისე დაიყვირა თვალმარდმა, რომ ასი-ათასი კურდღელი გეგონებოდათ და დაბზრიალდა მთიდგან ჭაობისკენ.

მგელმა შეაქო.

— ვხედავ,—უთხრა მგელმა,—რომ შეიძლება კურდღლებს ვერწმუნოთ. აი ჩემი განჩინება: ისხედით დრომდის ამ ჩირგვში, და ბოლოს მე თქვენ... ჰა-ჰა!.. შეგიწყალებთო.

დ. მაღლაძე.

ნარკვევი

გაზ. „Нов. Об.“-აში (№ 6220) დაბეჭდილია საყურადღებო კორესპონდენცია პეტერბურგიდან ბ-ნ ჩიკაპისა. კორესპონდენციის ავტორი გვაუწყებს, რა ულაპარაკნიათ სამხედრო სასწავლებელთა საპედაგოგიო მუზეიში განსვენებულ კ. პ. იანოვსკისა და მის მოღვაწეობის შესახებ კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველად ყოფნის დროს ბ-ნს გურევიჩსა და სელივანოვს.

მუზეიში კრება ყოფილა საპედაგოგიო საზოგადოებისა და აი ამ კრებაზედ წაუკითხავთ თავიანთი მოგონებანი ზემოხსენებულთ.

> რაღაც მოწყენილობისა და სიცივის გრძნობას ავრცელებდა უზარმაზარი და თითქმის ცარიელი დარბაზი მუზისაო,—ამბობს ავტორი.—იქნება საზოგადოება კარგადაც მოიქცა, რომ ასე გულ-გრილად მოეკიდა ბ.ბ. გურევიჩსა და სელივანოვს, რადგან ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ დაახასიათა საკმაოდ გარკვევით მოღვაწეობა იანოვსკისა, როგორც პედაგოგ-ადმინისტრატორისა და პედაგოგ-მოაზრესი.

გურევიჩი, პეტერბურგის ერთ-ერთ გიმნაზიის დირექტორი, უფრო თავის შესახებ ლაპარაკობდა თურმე და მთელი იმისი მოგონება ის იყო, რომ მე ასე გავიცანი იანოვსკი, მე ასეო, მე ისეო. ერთის სიტყვით, სულ მე და მეო. მხოლოდ ისა სთქვა საყურადღებო, რომ იანოვსკი თავ-მდაბალი კაცი იყო მეტისმეტადაო. სელივანოვს ხომ თავის ქებით აუკლია იქაურობა: 14 წელიწადი ვიყავ კავკასიაში, ზედმიწევნით ვიცი იქაური ამბებიო და სხ.

მაგრამ აი რა უთქვამს ამ კავკასიის ყოვლად დიდს მცოდნე კაცს:

> „ერთი უმთავრესი ღვაწლი კ. პ. იანოვსკისა ის არის, რომ პირველ-დასაწყისს სკოლებში ნელ-ნელა გააუქმა იქაური ენები და შემოიღო ესრედ წოდებული „მუნჯური მეთოდი“. ეს საჭირო იყო იმიტომ, რომ ქართველებს უნდოდათ მთელი კავკასია გაექართველებინათ და ქართულის სწავლება შემოეღოთ აბხაზეთსა, სამეგრელოსა, გურიასა და სხვა ქვეყნებში. ქართული უნდოდათ შემოეღოთ, როგორც პირველ დასაწყისს სკოლებში, ისე ღვთისმსახურებაში და სრულიად განედევნათ რუსული“.

ასეთს უგუნურს ბრალსა სდებს ქართველებსაო,—ამბობს „ნოვ. ობოზ.“-ეს პეტერბურგელი კორესპონდენტი—კაცი, რომელსაც 14 წელიწადი გაუტარებია კავკასიაში და კიდითკიდემდე მოუვლია ეს ქვეყანაო.

ბ-ნმა სელივანოვმა ისიც თურმე აუწყა მუზეიში შეკრებილ საზოგადოებას, რომ განდევნა მკვიდრთა ენისა სკოლებიდან თან და თანობით მოჰხდა, თავის-თავად, თითქმის ძალ-დაუტანებელივ კ. პ. იანოვსკის პედაგოგიურის გამოცდილების წყალობითაო და ამ ჟამად კავკასიაში მხოლოდ 125 პირველ-დასაწყისი სკოლაღაა, სადაც სწავლება მკვიდრთა ენაზედ სწარმოებსო. ეს სკოლები ჩრდილო-კავკასიაშიაო.

ცხადი არ არის განა, მკითხველო, რომ ბ-ნ სელივანოვს, რომელსაც „14 წელიწადი კავკასიაში გაუტარებია და ეს ქვეყანა კიდითკიდემდე მოუვლია“, ბევრი რამ ვერ მოუსაზრებია, ბევრი რამ ვერ დაუნახავს, ბევრი რამ ვერ შეუნიშნავს.

ამას ამბობს ბოლოს პეტერბურგელი კორესპონდენტი ზემოხსენებულის გაზეთისა და მართალსაც ამბობს.

წერილი

რედაქციის მიმართ.

ფარსმან VI დროს (542=577), როგორც მოგვითხრობს საეკკლესიო ისტორია, ამ ღვთის მშობლის წილხდომილს ქვეყანაში მოსულან ასურეთიდგან ცამეტნი მამანი. ამათგან პიროსმა ბრეთში ააშენა სამონასტრო ეკკლესია. დღეს ეს შესანიშნავი ძველი ტაძარი, რომლის არსებობა თითქმის 14-ი საუკუნეა. სიძველისა გამო ინგრევა და საჭიროებს საფუძვლიან განახლებას.

ამ კეთილ საქმის განსახორციელებლად შესდგა კომიტეტი, რომელსაც მიენდო საშუალების გამოძებნა ტაძრის განსაახლებლად.

კომიტეტის წევრებად არიან: კეთილ-მოწესე მღვდელი გიორგი ედილაშვილი, თავადნი სარდიონ სვიმონისძე ამირეჯიბი, ქაიხოსრო დავითისძე, ივანე გიორგის ძე, ანტონ მიხეილის ძე ავალიშვილები, ნიკოლოზ იოსების ძე ფავტარიძე, მიხეილ სოლომონის ძე ედილაშვილი და დავით სოლომონის ძე გოგიჩაშვილი. 8 აგვისტოს კომიტეტმა თ. სარდიონ სვიმონის ძე ამირეჯიბის თავმჯდომარეობით დაადგინა ა) მოიწვიოს არხიტექტორი გასაშინჯად ტაძრისა და ხარჯთ აღსარიცხვად და ბ) მიჰმართონ საზოგადოებას თხოვნით, რათა მსურველთ აღმოუჩინონ დახმარება.

კომიტეტს დიდი იმედი აქვს, რომ ყოველი ქართველი არ დაიშურებს თავის წვლილს განსაახლებლად სოფ. ბრეთის დიდებულ ნაშთისა.

შემოწირულება მიიღება ბრეთს:

1) Председателю комитета по рамонтировкѣ Бретской св. Георгія церкви Сардіону Семеновичу кн. Амиреджиби. Въ сел. *Брети*.

2) გორში. პოლიციის ბოქაულს თ. ბარძიმ ქაიხოსროს ძე ავალიშვილს.

3) ბაქოში. ქალთა გიმნაზიაში. მარიამ კვალიაშვილისას.

4) ბათუმში. მელანია გიორგის ასულს ხახუტაშვილისას.

5) ტფილისში. „ივერიის“ რედაქციაში.

კომიტეტის წევრი და საქმის მწარმოებელი თ. ივანე გიორგის ძე ავალიშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 ნოემბერი

ტომსკი. გარდაიცვალა პროფ. კლიმანტოვი, იურიდიულის საზოგადოების თავმჯდომარე.

ცარსკოესელო. მათი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული სამზღვარ-გარეთ გაემგზავრნენ.

მოსკოვი. საბჭომ დაამტკიცა, ქუჩებში გაყვანილ იქმნას ელექტრონის გზა, რისთვისაც გადასდო 39,000 მან.

პარიჟი. სამხედრო მინისტრმა ანდრემ სენატში განაცხადა, რომ ჰლექით ბევრი ჯარის-კაცი იხოცება და ბევრიც ავადააო. სუსტს და უძლურს ჯარის-კაცთ სახლში გზავნიან.

ვარშავა. მარიამის თავშესაფარის შენობის დასრულების შესახებ მხარის უმფროსს შემდეგი დეპეშა მოსვლია ხელმწიფე იმპერატორისაგან:

„გენერალ-ადიუტანტს ჩერტკოვს. მარიამის თავშესაფარის შენობის დასრულებამ და ეკკლესიის კურთხევამ მე დიდად მასიამოვნა, ვუსურვებ თავშესაფარს წარმატებას. ნიკოლოზი.

პეტერბურგი. გლებ უსპენსკის თხზულებათა გამოცემის უფლება კიევში ფუქსის ფირმას აუღია.

ოდესა. ნოვოროსიის უნივერსიტეტს ცეცხლი გაუჩნდა, დაიწვა რამდენიმე ზალა. ერთს ოთახში სტოროჟს მიტკოვს თავი ჩამოუღრჩვია, რომელიც ლოთობისთვის იყო გაგდეიული. ცეცხლის გაჩენას მას აბრალებენ.

ლონდონი. კონსერვატორთა უმრავლესობა შეშინებულია: რა მოხდება, როცა რუსეთის შაქარს დამატებითი ბაჟი დაედებაო. ჩემბერლენმა უპასუხა, მე განზრახვა მაქვს, ჩემი გეგმა და ჩემი სისტემა შემოვიღო, იმას არ დავეძებ, თუ რას იტყვიან სხვა სახელმწიფოებიო.

რუსეთიდგან ძლიერ ცოტა შაქარი შემოდის ინგლისში. კონვენციამ დროზედ მოუსწრო. საფრანგეთი კონკურენციის დროს იზარალებს. გერმანიას და ავსტრიას შეეძლოთ მონოპოლია ხელთ ეგდოთ, თუ შაქრის პრემია ძალაში დარჩებოდა.

14 ნოემბერი

ბერლინი. რეიხსტაგმა დაადგინა, რომ მთავრობის პროექტის თანახმად, სადამოჟნო ტარიფი მაშინ შევა ძალაში, როცა მოკავშირეთა საბჭო თანხმობას განაცხადებსო. შპაკმა განაცხადა: ცენტრი არ ეთანხმება კომისიის რედაქციას, რომლის დადგენილებით კანონი შევა ძალაში არა უგვიანეს 1905 წ. 1 იანვრისა. ნაციონალ-ლიბერალებმა მოითხოვეს რათა მთავრობის რედაქცია აღდგენილ იქმნას, რაიც მიიღეს 196 ხმის უმეტესობით 76 წინააღმდეგ.

ლონდონი. მეფე ედუარდის სამედიატორო სამართალი ჩილისა და არგენტინას შორის ატეხილს დავის შესახებ კომპრომისით თავდება: სადავო ტერიტორიას ჩილი და არგენტინა ერთმანეთში გაინაწილებენ.

პეკინი. ევროპის ჯარის უფროსებმა ჯარის-კაცთ აღუკრძალეს სამსახურს გარეშე თოფის ტარება.

პორტელანდი. სიამის ჩრდილოეთ ნაწილში აჯანყება ჩააქრეს.

სტამბოლი. ბულგარიის სამზღვრებში ოსმალები დიდს სიმხეცეს ჩადიან. იანკოვი აჯანყებულთა რაზმით საბერძნეთის ტერიტორიაზე გადავიდა.

მოსკოვი. მწერლობის საიუბილეო მომიტეტმა გარდასწყვიტა იუბილეის დღეს კონცერტი გამართოს საპენსიო-სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ, ასოთ-ამწყობთ წარმოდგენა გაუმართოს და სადღესასწაულო დღეს გაზეთი არ გამოსცეს. მოსკოვში იუბილეის დღეს მოხდება კრებები რუსეთის სიტყვიერების მოყვარეთა საზოგადოებისა, ბიბლიოგრაფიულის საზოგადოებისა და საიუბილეო კომიტეტისა; ასოთ-ამწყობთ სადილს გაუმართავენ.

ესენი. კრუპის გასვენების დროს იმპერატორმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 ⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99⅝ წვრ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	373¾ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	298 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88½ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅞ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „ „	490 გაყ.
„ კასპიის ამხანაგობისა.	4450 წვრ. გაყ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	413 გაყიდ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	194 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

სასამართლოს შესახები ცნობანი

სამოსამართლო პალატაში დანიშნული საქმეები 30 ნოემბერს:

1. თედორე ქილაგანისა და იორდანე სურმავას საქმე.
2. ეფემია ჩიქოვანისა და არტემ სიმონიანცის დავა.
3. ეპიფანე ცაგარლისა და ერასტე კაწარავას დავა.
4. როსებ, ლუარსაბ, გიორგი და დათა ფარცხვერაშვილის და ბიჭია და ნესტორ საცერიძეს დავა.
5. ალექ. და სენო მხეიძისა და ვასილ კიკნაძის დავა.
6. მიხ. დრეკელოვისა და მარკინის დავა.
7. პავლე ბოყაძისა და გედევან ბახტაძის დავა.
8. ლუკა ბახისა და უტო ბახია სადავო საქმე.
9. სლუჩევსკისა და ოლღა მელიალქოვის დავა.
10. დედულა ხურცინოვისა და ზალიკო და ხოხა კუხანოშვილის დავა.
11. თავ. მიხეილ ლორთქიფანიძისა და თავ. ასლან ლორთქიფანიძის დავა.
12. ნიკოლ. წყობილაძისა და გიორგი და ილარიონ ფურცხვანიძეთა დავა.
13. გ. გძელიშვილისა და მიხ. ბაქრაძის დავა.
14. ეკ. ტატუნაშვილისა და გაბოსი, ლექსოსი და ფარსო კონდარაშვილების დავა.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ ამა წლის 19 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ გამგეობის სადგომში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა ექვსის წლის ვადით ქალაქის მამული, რომელიც არის პირველ საპოლიციო უბანში სატივოზედ. პირობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღეს დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე კვირა-უქმეებს გარდა.

(2—6—1).

ქუთაისში
ს. მ. გ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.
საქართველოს კალენდარი
(ვ. გუნიასი),
გამოცემა „ქართ შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა“.

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად შემდეგის პირობებით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან., ½ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., ½ გვერდი—4 მან., ¼ გვერდი—2 მ., მარტო ადრესის გამოცხადება —1 მ.

განცხადება მიიღება: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ქელიძესთან, ქუთაისში—ვ. ბეჟანეიშვილთან და მიტ. ლაღიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამოცემა

ჯ ე დ ლ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი.

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა

„მზეთა“

აუწყებს ბ-ნთ ამხანაგთ, რომ მათ მიერ 3%-იან შესატანის ვადა, ესე იგი 3 მ. თითო პაიზე, დანიშნულია 16-დან 23 ნოემბრამდე და ჯარიმით შესატანის ვადა 24 ნოემბრიდგან 3 დეკემბრამდე. ფული უნდა წარმოადგინონ გამგეობის კანტორაში, დიდის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 6 8 საათამდე.

პაის პატრონთ ფულის შემოტანის დროს უნდა წარმოადგინონ პაის კვიტანციებიც.

(3—455—1)

ახალი გამოცემა.

სტამბიდგან გამოვიდა მეორე გამოცემა, ბევრად შევსებული, იაკობ გოგებაშვილის რუსულად დაწერილი წიგნისა:

„Правда о Тифлисѣ“.

ფასი ყველგან ერთი აბაზია. საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაშია. ისყიდება სხვა წიგნის მაღაზიებშიაც ტფილისში, აგრეთვე ქუთაისში და სხვაგანაც. (6—6)

Денисовский

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—31)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინის	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურის	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა ამო ტფილელი		30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის წესდების მე-14 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ დეკემბერს ამა 1902 წლის, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახადების შემოუტანლობისათვის, მე-12, 17, 28, და 36 §§-მებრ.

ვაჭრობა იმ მამულებისა, რომლებზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, მოხდება: 1) ქალაქის მამულებისა, **ტფილისისა**—16 დეკემბერს, 2) **ტფილისის გარეშე** ქალაქებისა და აგრეთვე იმ მამულებისა, რომლებზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, როგორც ქალაქის მამულებზე—18 დეკემბერს; 3) **სოფლის მამულებისა**, რომელზედაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი—20 დეკემბერს და 4) სოფლის და ქალაქის მამულებისა, რომლებზედაც გაცემულია **ხანმოკლე-ვადიანი სესხი**—21 დეკემბერს.

მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, მოხდება იმავე გამგეობაში 8 იანვარს 1903 წლისა.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ თავნი ვალის ჯამიდან